საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2013 წლის 13 ნოემბრის

დადგენილება № 1001

საგანმანათლებლო პროგრამების

მოდიფიცირების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს დასახელებანი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის და ბაკალავრიატის რუსულენოვანი პროგრამებისა „ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია, მართვის სისტემები“ და მათ ეწოდოს „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“;

2. მოდიფიცირდეს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“

კერძოდ, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 მაისის დადგენილებით სასწავლო გეგმას დაემატოს საკონსულტაციო საათები, აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგების მიხედვით დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის ნუსხა, პროგრამით გათვალისწინებული მოწვეული პერსონალი, ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს ახალი ლიტერატურა, გაფორმდეს მემორანდუმები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე